

„მანგანუმის“ საქმიანობა 2017 წლიდან დღემდე სამინისტროს არ შემოწმებია - „ახალგაზრდა მწვანეები“

 liberali.ge/news/view/45531/manganezis-saqmianoba-2017-tslidan-dghemde-saministros-ar-



არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ გარემოს დაცვის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რამდენჯერ შეამოწმა „ჯორჯიან მანგანუმის“ საქმიანობა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2017 წლის მაისში სპეციალური გარემოსდაცვითი მმართველის დანიშნვიდან ორი წლის განმავლობაში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, საწარმო 2017 წლის მაისიდან დღემდე არ შემოწმებულა.

ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, დაანგარიშებული გარემოსათვის მიყენებული ზიანი, გამოთხოვილ მონაცემებზე დაყრდნობით მინიმუმ **416 110 418 ლარს** შეადგენს.

2017 წლის მაისში, გარემოს დაცვის სამინისტროს მოთხოვნით, სასამართლომ „ჯორჯიან მანგანუმს“ სპეციალური სახელმწიფო მმართველი გარემოსთვის კატასტროფული ზიანის გამოსწორების მიზნით დაუნიშნა. ნიკოლოზ ჩიქოვანს რეგიონში მდგომარეობის ეტაპობრივად გამოსწორება დაევალა.

ამავე თემაზე:

„ჯორჯიან მანგანუმის“ გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა მინიმუმ 416 მილიონი ლარია - ანგარიში

ამავე თემაზე:

„ყოველდღე ვტოვებთ სახლებს და სიკვდილზე მივდივართ“ - რეპორტაჟი ჭიათურიდან

ამავე თემაზე:

ჭიათურა და "ჯორჯიან მანგანუმი" სახელმწიფო მმართველის პირობებში

ამავე თემაზე:

ქალაქი შავი კონტურებით